



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 31 2158

16/07/2018

2158-31-4-201807161406



წყალტუბოს მუნიციპალიტეტსა და შპს „არქიტექტს“ (ს/კ 412686669) შორის გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ 2018 წლის 29 მარტის №53 ხელშეკრულების შეწყვეტისა და პირგასამტეხლოს დაკისრების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ პუნქტის, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ 2018 წლის 29 მარტის №53 ხელშეკრულების მე-10 მუხლის 10.1. და 10.4 პუნქტების, მე-11 მუხლის 11.3. პუნქტის, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 29 მარტის №31 937 ბრძანებით შექმნილი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებების პირობების შესრულებაზე კონტროლის განხორციელებისა და შესყიდვის ობიექტის მიღების მიზნით სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და კეთილმოწყობის სამსახურში თანამშრომელთა ჯგუფის 2018 წლის 06 ივლისის №70 სხდომის ოქმის, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის 2018 წლის 12 ივნისის N 3849-31 მოხსენებითი ბარათისა და დასკვნის შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

1. შეწყვეტილ იქნას წყალტუბოს მუნიციპალიტეტსა და შპს „არქიტექტს“ (ს/კ 412686669) შორის გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ 2018 წლის 29 მარტის №53 ხელშეკრულება 2018 წლის 16 ივლისიდან.

2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების უხეში დარღვევის (სრულად შეუსრულებლობის) გამო შპს „არქიტექტს“ (ს/კ 412686669) წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სასარგებლოდ დაეკისროს ჯარიმის სახით პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულების საერთო ღირებულების 20%-ის ოდენობით - 917,09 (ცხრაას ჩვიდმეტი ლარი და ცხრა თეთრი) ლარი.

3. ბრძანების ჩაბარებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში პირგასამტეხლო თანხის ნებაყოფლობით გადაუხდელობის შემთხვევაში თანხის ამოღება მოხდეს სასამართლოში სარჩელის წარდგენის გზით.

4. ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ კანონმდებლობით დადგენილი წესით ეცნობოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს.


5. ბრძანების ასლი ჩაბარდეს შპს „არქიტექტს“ (ს/კ 412686669).

6. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს ზურაბ მაისურაძეს.

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქუთაისის საქალაქო სასამართლოში. (ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. ბრძანება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

გრიგოლ იოსელიანი



მუნიციპალიტეტის მერი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია